№ 206 | 1877—1898 | № 206

პარასკევი, 25 სექტემბერი, 1898 წ.

# ივერია

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10— | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

№ 206

პარასკევი, 25 სექტემბერი, 1898 წ.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

დრამატ. საზოგ. დროებით თავმჯდომარე ამით იუწყება, რომ

**ქართულ დრამატიულ საზოგადოების**

## საგანგებო კრება

დანიშნულია 25 სექტემბერს საღამოს 7 საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში

გამგეობის ხუთის წევრის ამოსარჩევად იმათ მაგიერ, რომელთაც გამგეობის წევრობაზე უარი განაცხადეს. (4—4)

## ექიმი
## კ. ი. გძელიშვილი

მიიღებს

ყელისა, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки. (—6.—9)

**პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. **ა. ი. რუდენკო.** $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ა. ვ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის. ყურის, ყელის და ცხვირის ავადმყოფ.

**საღამოობით:**

**გ. მ. მახვილაძე.**—6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ. ნერვებისა და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

**Первая частная лѣчебница** ***Д-ра Навасардіана.***

**Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.** (წ)

## მთავრობის განკარგულებანი

—

დანიშნულ იქმნა არდაგანის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონად ნამყოფი ზაქარია ჯაფარიძე—არდაგანის ოლქის გლეხკაც ნაწილის თარჯიმანის თანამდებობის აღმასრულებლად.

## ახალი ამბავი

—

⁂ გავახსენებთ ქართულ დრამატიულ საზოგადოების წევრთ, რომ დღეს, 25 სექტემბერს, საღამოს 7 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია ამ საზოგადოების წევრთა საგანგებო კრება გამგეობის წევრთა ამოსარჩევად. ამ ჟამად დრამატიულ საზოგადოების გამგეობაში, რომელიც წესდების ძალით შვიდ-წევროვანი უნდა იყოს, მხოლოდ ორი წევრია, დანარჩენთ უარი განაცხადეს. ამ მიზეზით გამგეობა ვერ შემდგარა და წარმოდგენების საქმის დაწყება, თუმცა დიდი ხანია დროა მათის დაწყებისა, ჰფერხდება. სასურველია, რომ წევრნი საკმაოდ დაესწრნენ და არ გადაიდოს ეს კრება, თორემ გამგეობა ველარ მოასწრებს დასის შედგენას და წარმოდგენების საქმის მოწყობას.

⁂ დღეს, 25 სექტემბერს, გზათა მინისტრის ამხანაგი გენერალ-ლეიტენანტი პეტროვი სამხედრო საქართველოს გზით კავკავში მიდის, ხოლო იქიდგან მოსკოვში.

⁂ მიწად-მოქმედების სამინისტროს მიერ გამოგზავნილმა ი. ი. მეშჩერსკიმ დაათვალიერა სასოფლო-სამეურნეო სკოლები ტფილისის, ქუთაისის და ბაქოს გუბერნიებში. 22 სექტემბერს მეშჩერსკის მონაწილეობით, ტფილისის საბაღოსნო სკოლის სადგომში, მოლაპარაკება ჰქონდათ ამ სკოლის უკეთესად მოწყობის შესახებ. ბევრმა დამსწრეთაგანმა ის აზრი გამოსთქვა, რომ სკოლის საუკეთესოდ მოწყობა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც სამინისტრო ამ სკოლისათვის მეტს ფულს გადასდებსო. ამის გამო მეშჩერსკიმ განაცხადა, ამ ჟამად საეჭვოა, რომ მიწად-მოქმედების სამინისტრომ ფული გადასდოს სკოლისათვისაო.

⁂ 2 ოქტომბერს ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილების სესსია ქ. გორში განიხილავს საქმეს თავ. გიორგი შალიკაშვილისა და ივანე მამაცაშვილისას, რომელთაც ის ბრალი ედებათ, რომ ჟანდარმის ხოვხუნის მოკვლა განიზრახეს. თავ. შალიკაშვილი და მამაცაშვილი ტფილისის საპყრობილეში არიან დაპატიმრებულნი. ამ კვირას ეტაპით მათ გორის საპყრობილეში გაჰგზავნიან.

⁂ დედათა კერძო საავადმყოფოს პატრონმა მკურნალმა მიკრტიჩიანცმა შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ ნება მიეცეს დააარსოს საავადმყოფოსთან განსამეორებელი კურსები ბებიათათვის.

⁂ როგორც ვწერდით, ამას წინად მიწად-მოქმედების მინისტრის რწმუნებულის თავმჯდომარეობით კომისია შესდგა ტფილისის საბაღოსნო სკოლის საქმეების შესახებ მოსალაპარაკებლად და ამ სკოლის აწინდელის მდგომარეობის გამოსარკვევად. კომისიამ უკვე დაასრულა მუშაობა. გუშინ წინ, 23 სექტემბერს, ქალაქის წარმომადგენელმა ამ კომისიაში, დ. ზ. ყორღანოვმა წარუდგინა ქალაქის გამგეობას ანგარიში ამ კომისიის მოქმედებისა. კომისიამ გამოარკვია, რომ სასწავლებლის მოსწავლეთა უმრავლესობას ქალაქის მკვიდრთა შვილები შეადგენენ, ისიც უმეტეს ნაწილად სხვა და სხვა სასწავლებლიდგან დათხოვნილნი. ამიტომ დაადგინა, რომ სასწავლებელში მიღების დროს უპირატესობა სოფლელთ მიეცეთ ხოლმე. ამასთან კომისიამ საჭიროდ სცნო, რომ არ იქმნას გაუქმებული მოსამზადებელის კლასის უფროსი განყოფილება. გარდა ამისა, რადგანაც სასწავლებელში დიდი სივიწროვეა, კომისიამ დაადგინა, მოსწავლეთა რიცხვი შემცირებულ იქმნას, სახელდობრ 90 ნაცვლად 60 კაცი იყოს ხოლმე (თითო კლასში 15) და სულ აღარ მიიღონ სასწავლებელში გარედან მოსიარულენი. კომისიამ დაადგინა აგრეთვე, რომ სწავლის ფასი მომატებული იქმნას. დღემდის 5 მანეთი იყო თვეში, დღეის შემდეგ-კი 6 მან. და 50 კაპ. იქმნება. ამ ჟამად სასწავლებელს $4^1/_2$ დესეტინა მიწა აქვს, კომისიამ სცნო, რომ ეს მიწა სასწავლებლისათვის საკმარისი არ არის, ამიტომ გარდასწყვიტა, იშუამდგომლოს მიწად-მოქმედების მინისტრის წინაშე იმის შესახებ, რომ სასწავლებელს ნება მიეცეს ისარგებლოს ხოლმე ახლო-მდებარე სახელმწიფო მიწებით. შემდეგ კომისიამ შეადგინა მომავალის წლის ხარჯთ-აღრიცხვა. ამ ხარჯთ-აღრიცხვით შემოსავალი სასწავლებელს ექმნება 15,250 მანეთი, ხოლო ხარჯი 16,547 მანეთი. გარდა ამისა საჭიროა 5,600 მანეთიც სხვა-და-სხვა შენობის ასაგებად და ძველის შენობის შესაკეთებლად. დასასრულ ლაპარაკი აღძრეს იმის შესახებ, სასწავლებლის საქმეები ისევ სამეურნეო საზოგადოებამ უნდა განაგოს, თუ იგი მიწად-მოქმედების სამინისტროს უნდა გარდაეცეს. უმეტესობამ ის აზრი გამოსთქვა, რომ სასწავლებელი სამეურნეო საზოგადოების ხელში დარჩესო.

⁂ წელს ტფილისის კადეტთა კორპუსში შესვლის ეგზამენი დაიჭირა 108 კაცმა, მათ შორის მიღებულ იქმნა მხოლოდ 60 კაცი. მიღებულთა შორის 22 ადგილობრივი მკვიდრია (ქართველი, სომეხი და სხვა).

⁂ გაზ. „ახ. მიმ.“ სიტყვით, ამიერ-კავკასიის ერთმა გუბერნატორმა ლაპარაკი აღძრა თურმე იმის შესახებ, თუ რას უნდა მოჰხმარდეს ის ფული, რომელსაც ქრთამად აძლევენ ხოლმე სხვა-და-სხვა მოხელეთ. წინად, ვიდრე გააუქმებდნენ ამიერ-კავკასიის „პრიკაზს“, ეს ფული ამ დაწესებულებას ეძლეოდა.

⁂ დ. ყვირილა. დიდი ხნის მოლოდინი შეგვისრულდა და როგორც იქნა ველირსეთ წიგნთ საცავ-სამკითხველოს ყვირილელები. ჯერ-ჯერობით ყველაფერი თავისს რიგზეა და იმედია, უფრო გაუმჯობესდება. გაზეთები საკმაოდ არის გამოწერილი და მკითხველებიც ბლომათ დადიან. ყველაფერი კარგი, მაგრამ მაგარი ეს არის, რომ წიგნები ძალიან ცოტა გვაქვს, ის წიგნები, რაც ძველ წიგნთ-საცავს ჰქონდა, უკვე წაკითხული აქვს დ. ყვირილის მკითხველ საზოგადოებას და ეხლა ახალია საჭირო. ამ ნაკლის შესრულებას ყურადღება უნდა მიაქციოს ბ ნმა ელიაშვილმა. ამ მოკლე დროში აქაური სცენის მოყვარენი აპირებენ წარმოდგენის გამართვას წიგნთ-საცავის სასარგებლოდ. იმედია, ბ-ნი ელიაშვილი წიგნების შეძენას მიჰყოფს ხელს.

## ფელეტონი

—

### „მეც გავდიდ-კაცდები, ბები“?

(პატრა ამბავი)

რა გახარებული და ნასიამოვნებია ფეფე! თავისს მოხუცს დედამთილს და ერთად-ერთს შვილს ხუთი წლის ლექსოს დღეს სადილად ჩიხირთმაცკი გაუკეთა... პატარა ლექსოც კი გაკვირვებულია დედის ასეთის არა-ჩვეულებრივის მდგომარეობით. დედამთილი? დედამთილი ხომ მუხლ-მოდრეკილი ევედრება ღმერთს და სთხოვს, თავის საყვარელი რძალი ყოველ დღე ასეთი მხიარული, ნასიამოვნები ამყოფოს. არც დედამთილი და არც შვილი არა კითხულობენ ფეფეს ასეთის ყოფის მიზეზს. ან რა საჭიროა მათთვის. თვით ფეფემ ხომ იცის! გუშინ საღამოს ფეფეს ქმარმა ქალაქში ერთი ურემი შეშა წაიღო გასასყიდად. ცოლს წასვლის დროს უთხრა, რომ შეშას გავყიდი და სადღესასწაულოდ შენ საკაბეს და ლექსოს საახალუხეს მოგიტანთ ქალაქიდგანაო...

ფეფო თავისს ქმარს დღეს ელის, ელის კიკოს და კიკოსთან ერთად საკაბეს და საახალუხეს... დღეს ფეფემ მეზობლის რძალს სთხოვა კიდეც, ხვალ კაბის გამოჭრა მიშველეო.

— ლექსოს ახალუხს-კი მარტო მეც გამოვჭრი.

მზე მიიწურა, ფეფეს თანდათან მოუსვენრობა დაეტყო! წამ-და-უწუმ კარზედ გამოდის და გზისაკენ გაიყურება! მზე მოეფარა მთას და ჩამობნელდა. ფეფეს სიმხიარულე უცებ ჩამოეცალა და დაღონდა! დედამთილმა შეამჩნია და ჰკითხა:

— შვილო, დედა გენაცვალოს, რად დაღონდი?

— რა ვქნა, კიკომ რად დაიგვიანა, დედი?

— ზამთარია, შვილო, გზები ცუდი იქნება და იმიტომ დაიგვიანა!

— იქიდგან ხომ ცარიელს ურემს წამოიღებდა!

— აქედგან გვიან თუ ჩავიდა და გვიან გაყიდა შეშა, თორემ აქამდის მოვიდოდა?

— შეიძლება, მაგრამ,დედი, გული როგორღაც დამიღონდა, დასწყევლა ღმერთმა, ძალზე შემომკვნესის! მეშინიან, ღმერთმანი, მეშინიან დედი! ფეფემ თავი ვედარ შეიმაგრა და ქვითინი დაიწყო.

მოხუცი დედამთილი მიუახლოვდა რძალს და ნუგეშინი დაუწყო. პატარა ლექსო დედას ყელზედ ჩამოეკიდა.

— ლათა ტირი, დედი! აა! ლათა? ტიტინებ და ლექსო და თან დედასა ჰკოცნიდა.

ეზოდგან ფეფეს შემოესმა.

— ხიო! ხიო!

— მოვიდა! წამოიძახა ფეფემ, ლექსო ხელში აიყვანა და გარედ გამოიჭრა, მაგრამ.. ეს რა ამბავია?.. რად შედგა ფეფე ურემთან გაქვავებულსავით! რად დააგდო ლექსო ხელიდგან გაუფრთხილებლივ და პატარა ბავშვი აატირა?

ურემზედ ტყავ-წახურული ადამიანი იდო! ფეფემ მეურმესაც-კი აღარა ჰკითხა-რა, ტყავი უცბად მოაშორა კიკოს გათოშილს გვამს, იცნო თვისი ქმარი, საშინლად შეჰკივლა და იქვე ურემთან გულშემოყრილი დაეცა. ფეფეს ხმაზედ შინ მყოფ მოხუცს, კიკოს დედას საშინელი მუხლების კანკალი მოუვიდა. სახლის კარებამდის ძლივს-ღა მოხოხდა და იქვე კარის ერდოზედ დაეცა.

მეზობლები მალე მოეშველნენ, გულ-შემოყრილი ფეფე ხელ-და ხელ შეიყვანეს სახლში და ძმარითა და წყლით როგორც იყო მოასულიერეს. მოხუცი კიკოს დედა იქვე ტახტზედ წამოაწვინეს, მაგრამ საცოდავი მთლად ცახცახებდა და ხმა ამოუღებლივ მდუღარეს აფრქვევდა. ლექსო? ლექსოს თავის ფეხის ტკივილი დაავიწყდა და ზარ-დაცემული თავისს პატარა თვალებს რაც ძალი და ღონე ჰქონდა ძალას ატანდა, რომ მომეტებულად დაეჭყიტნა და გაეგო, თუ რა დაემართა იმისს დედას და ბებიას.

ლექსომ დაინახა, რომ ურმიდამ გათოშილი კაცი გადმოიღეს, ოთახ-

⁂ სიღნაღი. სიღნაღის მაზრის მკვიდრთა რაოდენობა დაახლოვებით 83,984 სულს უდრის. აი, უკანასკნელ ათის წლის განმავლობაში ამ მაზრაში რამდენი ცალი და რა ფასის თამასუქის ქაღალდი გაყიდულა. 1888 წ. მაზრაში გასყიდულა 4333 ცალი თამასუქის ქაღალდი, რომელზედაც დაიწერებოდა 574,850 მან. ვალდებულება:
1889 წ. 5362 ც.—676,900 მან.;
1890 წ. 5389 ც.—620,050 მან.;
1891 წ. 5622 ც.—644,250 მან.;
1892 წ. 6111 ც.—630,050 მან.;
1893 წ. 5733 ც.—710,750 მან.;
1894 წ. 5998 ც.—797,050 მან.;
1895 წ. 6002 ც.—710,200 მან.;
1896 წ. 6126 ც.—651,250 მან.;
1897 წ. 6130 ც.—547,550 მან.

⁂ სახალხო კითხვების კომისიამ, 22 სექტემბრის კრებაზედ გარდასწყვიტა: იმ დღეს, როდესაც ავჭალის სახალხო კითხვების სადგომში წარმოდგენაა, ადრე გაათავონ ხოლმე კითხვა, სახელდობრ 6 საათზედ არა უგვიანეს.

⁂ მეტეხის ციხის ძირში ახლად აშენდა ნიში წმინდათა: დედა-ღვთის მშობლისა, შუშანიკისა და ღვაწლ-შემოსილის გიორგის სახელობაზედ. ეს ნიში ამ წლის თიბათვის 4-ს აქეთ ყოველ-დღე ღიაა და შიგ ისყიდება ნამდვილი ფუტკრის წმინდა სანთელი მართლ-მადიდებელ ეკკლესიების სანთლის ქარხანაში დამზადებული. კარგი იქნება, რომ ამ ნიშს ახლო-მახლო ვაჭრებთ დ მცხოვრებთ მიაქციონ ყურადღება და საკვირაძლოდ აქედგან იყიდონ ხოლმე სანთელი, თორემ მგონი არც ღვთისთვის იყოს სასიამოვნო და არც კაცისთვის სასარგებლო ყალბის სანთლის ყიდვა, რომელიც ამ ბოლო დროს ძალიან გახშირდა.

⁂ ამ დღეებში ქ. ეკატერინოდარის პოლიციამ ეტაპით ტფილისს გამოგზავნა ახალგაზდა, 23 წლის კაცი, რომელიც გვარად ტერ-არუთინოვს ირქმევდა. ტფილისში ტერ-არუთინოვმა პოლიციას გამოუცხადა, რომ აქაური ვარ, მაგრამ მშობლებთან ერთად ეკატერინოდარში ვცხოვრობდი პირის სახლშიო. მაგრამ გამოძიების დროს აღმოჩნდა, რომ ტერ-არუთინოვს ეკატერინოდარს პირის სახლში არასოდეს არ უცხოვრია. არუთინოვის ყოფა-ქცევა პოლიციას საეჭვოდ ეჩვენა. ამიტომ იგი პოლიციის განყოფილების სატუსაღოში დააპატიმრეს. არ გასულა ბევრი ხანი, რომ პოლიციამ სრულიად შემთხვევით შემდეგი შეიტყო: ტერ-არუთინოვი როგორღაც ოდესაში მისულა და იქ ერთს სავაჭრო გემზედ ზღვაოსნად შესულა. შემდეგ სამსახურისათვის თავი გაუნებებია და ერთს ქალს დაახლოვებია, მაგრამ მალე უთანხმოება მოსვლიათ. ბოლოს ტერ-არუთინოვს ქალი სასაფლაოზედ გაუტყუებია და იქ მოუკლავს. შემდეგ სხვა მაწანწალებს მიჰკედლებია და იმათთან ერთად გაუძარცვავთ ოდესაში ერთის ოქრო-მჭედლის მაღაზია, საიდგანაც 30 ათას მანეთის ნივთეულობა წაუღიათ. შემდეგ ტერ-არუთინოვი ოდესიდგან წასულა. რუსეთის სხვა-და სხვა ქალაქში ყოფილა და ბოლოს ეკატერინოდარში პოლიციას შეუპყრია როგორც უბაშფორთო. ტერ-არუთინოვს ჯერ გამოუცხადებია, რომ როსტოველი ვარო, შემდეგ გამოტეხილა ტფილისის გუბერნიის მცხოვრები ვარო.

ყველა ეს არუთინოვს უამბნია იმათთვის, ვინც იმასთან ერთად აქ, ტფილისში პოლიციის სატუსაღოში ყოფილა დაპატიმრებული. ბოლოს არუთინოვს გამოუცხადებია პოლიციისთვის, რომ ჩემი გვარი არუთინოვი-კი არა, ბაქრაძეა, 30,000 მან. ნივთების მოპარვაში მონაწილეობა არ მიმიღია, ოდესაში ქალი არ მომიკლავს, მაგრამ იმის მოკვლა-კი განვიზრახეო.

## ქალაქის საბჭო

23 სექტემბერი

ქალაქის მოურავი. ეს ეს არის, მივიღე წერილი ბელგიის უსახელო საზოგადოების წარმომადგენლის ბ-ნ რობისაგან, რომელიც ჯერ არ გამიხსნია და არ წამიკითხავს. მოისმინეთ, რას იწერება იგი.

წერილს კითხულობს. ბ-ნი რობი თავისს წერილში უსაყვედურებს საბჭოს, რომ ქალაქის გამგეობის 22 ივნისის დადგენილებისამებრ, ქალაქს 1 სექტემბრამდე მოლაპარაკება უნდა გაემართა ჩემთან ტფილისის ცხენის რკინის გზის ხელ-ახლად იჯარად გადმოცემის შესახებ, მაგრამ ქალაქმა ეს დანაპირები არ შეასრულა და ამის ნაცვლად რამდენსამე სხვა საზოგადოებასთან დაიწყო მოლაპარაკებაო. უსახელო საზოგადოებას-კი სხვებთან შედარებით უპირატესობა აქვს, როგორც ამდენის ხნის მოიჯარადრეს. ამიტომ ვთხოვ საბჭოს, პირობების შესამუშავებლად განაგრძოს ჩემთან მოლაპარაკება და მე ეხლავე წარმოუდგენ ქალაქს 100,000 მანეთს ჩვენის პირობის უზრუნველ საყოფელადო.

ქალაქის მოურავი. ვთხოვ საბჭოს თავისი აზრი წარმოსთქვას გამგეობისა და კომისიის 15 სექტემბრის დადგენილების შესახებ, რომელიც წარსულს კრებაზედ იქმნა წაკითხული საბჭოში.

ხმ. ევანგულოვი. წარსულს კრებაზედ დავადგინეთ, რომ კომისიის უმცირესობის მოხსენებაც წაგვეკითხა დღეს. სამართლიანობა მოითხოვს, რომ ეს დადგენილება შევასრულოთ. ვინ იცის, იქნება საბჭომ ეს მოხსენება უფრო სასარგებლოდ სცნოს ქალაქისათვის.

გამგეობის წევრი ბ-ნი ვერმიშევი ჰკითხულობს ამ მოხსენებას, რომელიც ხმოსან ევანგულოვის მიერ არის შედგენილი და რომელზედაც, იმის გარდა ა. ს. ბაბოვს და ქალანთარსაც უწერიათ ხელი. ამათის აზრით ცხენის რკინის გზის იჯარით გაცემა ქალაქისათვის საზარალო იქმნება და ამიტომ საბჭომ უარი უნდა უთხრას ყველა მოიჯარადრეს და ეს საქმე თითონვე აწარმოვოს.

ქ. ა. ვერმიშევი. ჩვენც ვეთანხმებით ბ-ნს ევანგულოვს, მაგრამ გამგეობასა და კომისიას ის დავალება ჰქონდა საბჭოსაგან, რომ სამის საზოგადოების (საფრანგეთ-ბელგიის, „ტრამვაისა და ელექტრონის“ და ბელგიის უსახელო საზოგადოების) წინადადებანი განეხილა და ერთი მეორისათვის შეედარებინა და იმათაც სწორედ ეს მინდობილება შეასრულეს. რაც შეეხება იმას, რომ ქალაქმა თითონვე უნდა აწარმოვოს გზა, ამის შესახებ მერმეთ გვექნება მსჯელობა.

ხმ. ა. ს. ბაბოვი. კომისიის ზოგიერთი წევრი აცხადებს, რომ საბჭომ არც ერთი წინადადება არ შეიწყნაროს, რადგან ეს საზარალო იქმნება ქალაქისათვის, და გზის წარმოება ქალაქმა იკისროსო...

ქალაქის მოურავი. 9 სექტემბერს საბჭოს კომისიისათვის ეს არ დაუვალებია. გთხოვ იმის შესახებ ილაპარაკოთ, თუ სამის საზოგადოების წინადადებაში რომელი უფრო სასარგებლოა ქალაქისათვის.

ხმ. ბაბოვი. თქვენ მე ლაპარაკის ნებას არ მაძლევთ, გთხოვთ ჩასწეროთ ეს ოქმში...

ქალაქის მოურავი. მეცა გთხოვთ ჩასწეროთ...

ხმ. ბაბოვი. ეს ბოროტ-მოქმედებაა!..

ქალაქის მოურავი. ავრე ნუ ჰლაპარაკობთ და წეს-რიგს ნუ არღვევთ. იჯარის ვადის შესახებ უნდა ილაპარაკოთ.

ხმ. ბაბოვი. არა, მე ბევრი უნდა ვილაპარაკო. საჭიროა გამოირკვას, თუ რა სარგებლობას ჰნახავს ქალაქი, თუ თითონვე აწარმოვა გზის საქმე.

ქალაქის მოურავი. საგნის შესახებ ილაპარაკეთ და ნუ გადასცილდებით. თქვენ სამის საზოგადოების წინადადება უნდა შეადაროთ ერთი მეორეს.

ხმ. ბაბოვი. მე ვხედავ, რომ თქვენ ამ საქმის შესახებ ისე არ იქცევით, როგორც რიგია, ამისათვის ვიდრე ეს საგანი გამოირკვეოდეს, საბჭოს თავს ვანებებ.

ქალ. მოურავი. მიბრძანდით! (ბაბოვი გადის).

რამდენისამე ხნის ლაპარაკის შემდეგ გამგეობისა და კომისიის 15 სექტემბრის დადგენილება საბჭომ ერთ-ხმად შეიწყნარა.

ქალაქის მოურავი. იმავე კომისიას რამდენიმე კაცი კიდევ მივუმატოთ და დავავალოთ, რომ 25 სექტემბრამდე დამატებითი პირობები მოსთხოვოს იმ სამს საზოგადოებას, რომელთა წინადადების შესახებ გამგეობამ და კომისიამ თავისი აზრი დაადგინა 15 სექტემბერს და ეს პირობები განიხილოს.

ქ. ა. ვერმიშევი. საბჭომ 22 ივნისს დაადგინა, რომ ყოველ გვარი განცხადება მოიჯარადრეებისა ამ საგნის შესახებ 1-ს სექტემბრამდე უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. ეხლა რად უნდა შესცვალოს საბჭომ ეს დადგენილება და ახალი პირობანი მოითხოვოს? ამ საქმეს ამ გვარად ხომ დასასრული არ ექმნება.

ხმ. ხუდადოვი. ბ-ნს რობის საბჭოზედ არავითარი საყვედური არ ეთქმის. საბჭოს ის არ მოუწვევია და არ შეჰპირებია, უთუოდ შენთან გავმართავ მოლაპარაკებას და სხვასთან არავისთანაო. იგი გამგეობის მიერ იყო მოწვეული; აქ საბჭო რა შუაშია. დღეს ჩვენ სიტყვების რახარუხს ვუნდებით და სხვას არაფერს.

ქალ. მოურავი. ხმოსანო ხუდადოვო! ვერ გამიგია, რის შესახებ ჰლაპარაკობთ: უნდა ვიცოდე თქვენის მსჯელობის საგანი. თქვენ თქვენი აზრი უნდა გამოსთქვათ იმის შესახებ, მივანდოთ თუ არა კომისიას, დამატებითი პირობები მოსთხოვოს სამს საზოგადოებას.

ხმ. ხუდადოვი. თქვენ თუ ჩემი ლაპარაკი ვერ გაიგეთ, ეს ჩემი ბრალი არ არის. თქვენ ისე დააყენეთ საგანი, რომ ამის მეტი პასუხი არ შეიძლება. მაგრამ ლოღიკის შესახებ ნუ ვილაპარაკებთ ეხლა. დღეს ჩვენ ამ საქმის გარდაწყვეტა არ შეგვიძლიან. კომისიამ მხოლოდ სამი წინადადება განიხილა. მაგრამ არის კიდევ ერთი წინადადება, სახელდობრ „შუკკერტის და ამხ.-“სა, რომელსაც კომისია არ შეეხო. რად უნდა მივცეთ უპირატესობა სამს საზოგადოებას და სხვები-კი უყურადღებოდ დავტოვოთ? ქალაქმა თითონვე იკისროს გზის წარმოება და ამიტომ მოიჯარადრეების წინადადებათა განხილვა გადავდოთ.

ხმ. კარაპეტოვი. 25 სექტემბერი ერთობ მოკლე ვადაა. ამ დრომდე ვერ მოასწრებენ საზოგადოებათა წარმომადგენელნი პასუხის მოცემას, რადგან ზოგმა იმათგანმა მიწერ-მოწერა უნდა გაჰმართოს თავიანთ საზოგადოებასთან.

გ. მ. ალიხანოვი. საბჭომ გარდასწყვიტა გზის გამოსყიდვა. ბ-ნ რობის დღევანდელი განცხადება ჩვენ ხელ-ფეხს არ გვიკრავს. გამოვისყიდოთ გზა და მისი წარმოება გამგეობის ერთ-ერთს წევრს მივანდოთ; ხოლო მოლაპარაკება მოიჯარადრეებთან მაინც განვაგრძოთ, რომ როცა საჭიროდ და სასარგებლოდ დავინახავთ, მაშინ გავცეთ გზა იჯარით.

ქალაქის მოურავი. მე, როგორც ქალაქის მოურავი, ვაცხადებ, რომ გამგეობის წევრს ამ საქმისათვის ვერ მოვაცლი, რადგან ამით ქალაქის საქმეები შეფერხდება. კანონიც ნებას არ გვაძლევს გამგეობის მეხუთე წევრის არჩევისას. ვინმე სხვა მცოდნე კაცი უნდა მოვიწვიოთ გზის გამგედ, დირექტორად დავნიშნოთ და ყოველივე საქმე იმას მივანდოთ.

ხმ. ევანგულოვი. საბჭომ სამისავე საზოგადოების წინადადება უნდა უარ-ჰყოს და გზა გამოისყიდოს. ერთხელ ხომ გამოვიწვიეთ მოიჯარადრეები და ეხლა რაღა საჭიროა ამ საქმის გაჭიანურება?

ქალაქის მოურავი. საქმის შესახებ ილაპარაკეთ!

ხმ. ევანგულოვი. არ მესმის!..

ქალაქის მოურავი. თუ არ გესმით, დაჯექით!

ხმ. ევანგულოვი. თქვენ თითონ არ გესმით... მე ვამტკიცებ, რომ საჭირო არ არის ხელ-ახლად მოლაპარაკების გამართვა; ამ საქმეს დასასრული უნდა მიეცეს. უარი შევუთვალოთ ყველა მოიჯარადრეს და გზა ჩვენვე ვაწარმოვოთ.

საბჭომ, ხმის უმეტესობით, არ შეიწყნარა ქალაქის მოურავის შემდეგი წინადადება: 1) მოვსთხოვოთ საფრანგეთ-ბელგიის, „ტრამვაისა და ელექტრონის“ და ბელგიის უსახელო საზოგადოებას დამატებითის პირობის წარმოდგენა 25 სექტემბრამდე; 2) ნება მივცეთ ხსენებულ მოიჯარა-

---

ში შესვენეს და ტახტზედ დაასვენეს. თუმცა ბავშვს არიდებდენ, მაინც იცნო თავისი მამა. რაო მერე! კიკოს ალბად სძინავს, რომ საბანი წაჰხურეს. მაშ რაღა ატირებს დედას და რაღადა ჰკრუსუნებს ბებია! ეს ვერ გაეგო ლექსოს და წამ-და-უწუმ ჰკითხავდა იქ მოყრილს მეზობლებს.

— დედა ლათა სტილის? — ბებია ლალათა ტილის? ტყუილებით ამშვიდებდნენ ლექსოს მეზობლები, მაგრამ ლექსო არა სცხრებოდა...

—

ვერაფრად დაუჯდა საცოდავ კიკოს. თავისის ცოლის გახარება! თავისის ცოლშვილის სასიამოვნოდ ზამთრისაგან გაუვალ გზებს არ შეუშინდა და ქალაქში ურმით შეშა წაიღო გასასყიდად. „შეშას გავყიდი, ცოლშვილს სადღესასწაულოდ ახალს სამოსს უყიდიო“, ჰფიქრობდა საბრალო, როცა დატვირთულის ურმის კოფოზედ შეჯდა, თავისს ერთგულს კამეჩებს სახრე გადაუქნია და ქალაქის გზას გაუდგა.

პირველი ხევი უხიფათოდ გაიარა კიკომ, თუმცა სწორედ ამ ხევისა ეშინოდა. ეშინოდა იმიტომ, რომ გზა ზედ ხევზედ მიდიოდა და ხევიკი მთლად გაყინული იყო. სახიფათო გზა მშვიდობით გაიარა კიკომ, მაგრამ სწორე გზაზედ უღალატა კიკოს ნიკორამ. ყინულზედ ოთხივე ფეხი მოუხლტა და დაეცა. კიკო ურმის თავიდგან გადმოხტა ნიკორას მისაშველებლად, მაგრამ თითონაც ყინულზედ მოუსხლტა ორივე ფეხი, პირ-ქვე დაეცა, ქვას დაჰკრა საფეთქელი და ..

გზაზე მიმავალთ ნახეს უბედური კიკო, იცნეს, ურმიდგან შეშა გზაზედ გადაცალეს, კიკოს გვამი დაუდეს და შინ წამოიღეს...

—

ორი დღეა ლექსოს ყურს აღარავინ უგდებს! შინაც-კი აღარ აძინებენ! თუმცა დიდს უარს იყო და ჩვეულებრივ დედის ძუძუებში ჩახუტვა უნდოდა, მაგრამ... საწყალს ვინ რასა ჰკითხავდა. არა, ბებია, საყვარელი ბებიაც რომ აღარ ეკარება ლექსოს? დედა და ბებია ტირიან მეზობლებიც ტირიან და ნეტა რა დაო? ჰფიქრობს ბავშვი.

— მერე, თუ მამასა სძინავს, ლათა ტილის დედა? ხომ გაღვიძებს! მე ლო ვტილი, ბებია ლათ მაჩუმებს, მამა გაიღვიძებსო! ეკითხება ლექსო ყველას, მაგრამ პასუხს არავინ აძლევს.

კიკო კუბოში ჩაასვენეს. ხალხი უფრო ბევრი მოგროვდა. მღვდელიც მოვიდა.

ლექსო იქვე ხალხში მიკუნჭული და ფეხის ჩლიქებზედა სდგას და გაშტერებით შესცქერის მღვდლის ბუტბუტს.

მორჩა მღვდელი ლოცვას, კარებისაკენ გატრიალდა. რამდენმამე კაცმა კუბო ასწია. ფეფემ და მოხუცმა კიკოს დედამ ხმა-მაღლა მოთქმით დაიწყეს ტირილი. იქვე მდგომ ლექსომაც თავის და უნებურად ბანი მისცა თავისს დედა-ბებიას, გამოძვრა ხალხში და დედას კალთაზედ მოეჭიდა. მეზობლის დედაკაცს უნდოდა ლექსო მოეშორებინა დედისათვის, მაგრამ ლექსოს მაგრა ეჭიდა ხელი დედის კაბაზედ...

პატარა ჰირისუფალი დედასა და ბებიას შუა მოსდევდა ცხედარს და გულ-საკლავად ტიროდა და გაბმით მოსთქვამდა.

— ვაიმე, მამილო! ვაიმე, მამილო!

—

საღამოხანია! ხალხი წავიდ წამოვიდა. ფეფესთან რამდენიმე მეზობელი ღა დარჩა სანუგეშებლად.

ლექსო ბებიას კალთაში უზის და ეტიტინება.

— ბებილო, მამა სად წაიყვანეს?

— ტყეში, შვილო! თვალცრემლიანი ეუბნება ბებია!

— განა, თითონ კი ველ წავიდოდა?

— გადიდკაცდა, შვილო, და დიდიკაცი თითონ რაღად იკადრებდა სიარულს?

— მეც ლომ გავიზდები, გავდიდკაცდები ბები?

— შენ ჯვარი გწერია, გენაცვალოს ბებია...

ი. კახელი *)

---

*) † იოსებ ცისკარაშვილი.

დრეთ ჩვენ მიერ შემუშავებულ ნორმალურ ხელშეკრულობის პროექტის განხილვისა; და 3) მივანდოთ გამგეობასა და კომისიას,—განიხილონ, რა უფრო ემჯობინება ქალაქისათვის, გზის იჯარით გაცემა, თუ ის, რომ თითონვე აწარმოოს.

შემდეგ საბჭომ ხმის უმეტესობითვე დაადგინა—გამოსყიდულ იქმნას გზა და ქალაქმა აწარმოოს, ხოლო როცა საბჭო საჭიროდ სცნობს მისს იჯარით გაცემას, განაახლოს მოლაპარაკება მოიჯარადრეებთან.

ხმ. მიტკევიჩი. საბჭომ მოიჯარადრეთა წინადადებანი შეადარა ერთი მეორეს და გამოარკვია, რომელი იმათგანი უფრო სასარგებლოა. საბჭოს მსჯელობა ჯერ არა ჰქონია იმის შესახებ, ქალაქს ხელს მისცემს, თუ არა, რომ გზა თითონვე აწარმოოს და ჩვენ-კი დავადგინეთ, რომ უთუოდ გამოვისყიდოთ ეს გზა და ჩვენვე ვაწარმოვოთ. ეს რასა ჰგავს?!

ქალაქის მოურავი. მაშ ასე დავადგინოთ...

ხმები. რაღა დროსია, გვიანღაა, გვიან! საქმე მორჩენილია!

ამითი დაბოლოვდა საბჭოს კრება.

## მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის საქართველოს ექსარხოსის ფლაბიანეს მოგზაურობა კახეთში.

(დასასრული *)

ს. იყალთოს მისაბრუნში დაჰხვდა მათ მეუფებათ მთელი რაზმი ცხენოსანთა თავ. მაყაშვილებისა, რომელთაც მათი მეუფებანი მიაცილეს ღვთაების ტაძრამდის. გალავანში იდგა თავად-აზნაურობა და გლეხ-კაცობა. წინ მიეგება მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას თავ. ვლადიმირ მაყაშვილი და მიჰმართა სიტყვით, რომელშიაც დახატა წარსული დიდება ამ ტაძრისა, დაასახელა შესანიშნავი მღვდელ მთავრები თვით თავ. მაყაშვილთაგან და რა მოიხსენია აწინდელი მდგომარეობა ტაძრისა, სთხოვა, ყურადღება მიექცია მისთვის. თვით ტაძარში მ. მაისურაძე შეეგება მათ მეუფებას მგრძნობიარე სიტყვით. მერე მათმა მეუფებამ დაათვალიერეს ამავე სოფლის სამრევლო ეკკლესია, სადაც სიტყვითვე შეეგება ადგილობრივი მღვდელი და მიბრძანდნენ თავ. ვლადიმირ მაყაშვილისას, რომელსაც მიწვეულნი ჰყავდნენ მათი მეუფებანი სადილად.

მაღალ ყოვლად უსამღვდელოესმა ფლაბიანემ სადილის დროს ის აზრი გამოსთქვა, რომ ალავერდის განახლების საქმე უნდა გადიდოს მომავლისათვის, რადგანაც მართლ-მადიდებელთა ყოველი ძალ-ღონე ჯერ მცხეთის ტაძრისაკენ უნდა იყოს მიქცეული. ალავერდს, როგორც გარდაწყვეტილია, ჯერ-ჯერობით ოთხი სამხრე დაეხურება, რომ წვეთი შეიკავოს და მერე გვმართებს იმისთვისაც ფიქრი და მეცადინეობა.

სადილის შემდეგ მათნი მეუფებანი წაბრძანდნენ შუამთის მონასტერში. აქ დაათვალიერეს ტაძარი, სა წინამძღვრო სახლი, თითოეული სენაკი და სამონასტრო ბაღი თვისის აუზითა და თევზებით. აქ საღამოზედ გამოეთხოვნენ მათ მეუფებას ზოგნი და სხვათა შორის თელავისა და თიანეთის მაზრების საეკკლესიო სამრევლო სკოლების ზედამხედველი მ. ნიკოლოოზ ჯაჯანიძე, რომელიც ს. ურიათუბნიდგან დაწყებული, ვიდრე შუამთამდის თან ახლდა და რომელმაც შემდეგის სიტყვით დაუხატა თვისი საზედამხედველო სკოლები, როცა მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესი პირველს სამრევლო სკოლაში შებრძანდა:

„მათის უდიდებულესობის დაუფასებელი საჩუქარი ჩვენის ქვეყნისათვის იყო თქვენი საქართველოს ექსარხოსად დანიშვნა. თქვენ ხართ დაუშრეტელი წყარო სიყვარულისა და შებრალებისა, რომლის საერთო მოქმედებისა და მეცადინეობის ერთად-ერთი საგანი არის დავრდომილის ზე წამოყენება, ღირს ყოფა მისი ბედნიერებისა და იმ წყვდიადის განათება, რომელსა შინა იტანჯვის დავრდომილი. ამისათვის მოვახსენებრა თქვენს სიყვარულით აღსავე ყურადღებას, რომ ჩემსა საზედამხედველოში არის 14 საეკკლესიო სამრევლო სკოლა, რომელთაგან ერთი ორ-კლასიანია, სამი ერთ-კლასიანი და 10 საანბანო, რომლებშიაც სწავლობს 457 მოსწავლე ორისავე სქესისა; სკოლებ შორის 9 საკუთარს შენობაშია მოთავსებული, დანარჩენი-დაქირავებულში; სუყველა სკოლებში 14 საღმრთო სჯულის მასწავლებელია, 20 მასწავლებელი ქალი და კაცი, რომელთაგან 5 მარტო მასწავლებლად არის და სხვები-კი მასწავლებლობას სხვა თანამდებობასთან ასრულებენ. არ შემიძლიან დავუმალო თქვენს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას, რომ, ერთის მხრივ, მოხსენებული სკოლები მრავალს განკარგებას თხოულობს, ხოლო, მეორეს მხრივ, სუყველა ამ სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი და თუნდა ამას ზედ მიუმატოთ თითქმის ერთი ამოდენავე რიცხვი სამინისტრო სკოლების მოსწავლეებისა, შეადგენს ერთს და მხოლოდ ერთს წვეთს იმ აუარებელი სასკოლო წლოვანების ბავშვებისას, რომელნიც უსკოლოდ არიან დატოვებულნი. ამისათვის, სამღვდელოების მიერ ბეჯითობის და ერთგულების გარდა, საჭიროა შესაფერისი განკარგულებანი და გამხნევებანი თქვენის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის მხრივ. ვითხოვ რა ღვდელ მთავრულს ლოცვა-კურთხევას ჩემს საზედამხედველო მასწავლებელთა და მოსწავლეთათვის, ვარ ღრმად მსასოებელი, რომ ბევრი რამ საუკეთესოდ შეიცვლება აქ სახალხო განათლების საქმეში და ყველა ამ წარმატების მიზეზი შეიქმნებით თქვენ, თქვენო მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობავ".

მისმა მეუფებამ საეკკლესიო სამრევლო სკოლების ზედამხედველთან ისაუბრა, მისცა ჯეროვანი დარიგებანი, გარდაუხადა მადლობა და ლოცვა-კურთხევით დაითხოვა. აგრეთვე გამოეთხოვა თავად-აზნაურობის წინამძღოლი თ. მაყაშვილი, რომლისაც განსაკუთრებით დიდი მადლობელი დარჩა ექსარხოსი.

დარჩნენ შუამთის მონასტერში მაზრის უფროსი ბ-ნი განსევიჩი, ბლაღოჩინი დეკანოზი მ. ხელაშვილი, თ. ი. ანდრონიკაშვილი და ამალა. ყველანი ვახშმად მონასტრის წინამძღვარ კირიონთან ბრძანდებოდნენ.

16 სექტემბერს დილით ადრე წაბრძანდა მაღალ ყოვლად-უსამღვდელოესი ფლაბიანე ტფილისისაკენ. გასაცილებლად გაჰყვნენ მისი მეუფება ყოვლად სამღვდელო კირიონი, დეკანოზი ხელაშვილი, ბ-ნი მაზრის უფროსი და გზის ინჟინერი თ. ი. ანდრონიკაშვილი. პირველმა ორმა თეთრ-წყლებამდის გააცილეს, ე. ი. თელავის მაზრის მიჯნამდის და გამოეთხოვნენ. ბლაღოჩინს დეკანოზს ხელაშვილს მათმა მეუფებამ დიდი მადლობა უბრძანა. მაზრის უფროსმა ბ-ნმა განსევიჩმა და თ. ანდრონიკაშვილმა ს. გომბორამდის ჩააცილეს. იქ მიიღეს ლოცვა კურთხევასთან მადლობა მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობისა და მაშინ ღა დაბრუნდნენ უკან, როცა ექსარხოსის ეტლი გაისტუმრეს გომბორიდგან ტფილისისაკენ.

მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის მოგზაურობიდგან, სხვათა შორის, ნათლად გამოირკვა, რომ მისი მეუფება მღვდლობასთან აკავშირებს ხალხის მასწავლებლობას, ე. ი. მღვდლობის თანამდებობას, სხვათა შორის, შეადგენს სკოლებში საღმრთო სჯულის რიგიანად სწავლება მაინც, თუ ყველა საგნებისა არა; მასწავლებლობის მოვალეობის შეუსრულებლობისათვის შეიძლება მღვდელი ადგილიდგან ადგილზედ გადაყვანილ იქმნას და იქნება სულაც უადგილოდ დატოვებულ; მდიდარის მრევლის მღვდლები მალე დაჰკარგავენ თავისს მრევლს, თუ სკოლის საქმეში შეეტყობათ სიზარმაცე ან დაუდევნელობა; მრევლი მოვალეა აძლიოს თავისს მოძღვარს და სხვა ეკკლესიის მოსამსახურეს ყველაფერი ისე, როგორც უძლევიათ აქამდე, ვიდრე მღვდლებს ჯამაგირი დაენიშნებათ და როცა დაენიშნებათ, ეს გარემოება საყოველთაოდ იქმნება გამოცხადებული.

ნადიკვრელი

*) იხ. „ივერია", № 205.

## წერილი თერგის ოლქიდგან.

თერგის ოლქში ცოტანი არ არიან ქართველნი. ისინი ალაგ-ალაგ შეადგენენ თუ მთელს სოფელს არა, იმის მომეტებულს ნაწილს მაინც. მაგ. სტანიცა შელკოზავოდსკი, (ქართულად სარაფანი), ალექსანდრონევსკაია (ქართულად სასოფლე) და სხვ.

შელკოზავოდსკი, როგორც მოხუცნი ამბობენ, ამ 50 წლის წინად სომხებითა და ქართველებით ყოფილა დასახლებული. საიდგან გაჩნდნენ აქ ქართველები, ნამდვილი არავინ იცის. ამბობენ მხოლოდ, რომ ვითომ ესენი ქართლიდგან გამოქცეულნი მართლ-მსაჯულებას. თავიანთ მიწა-წყალს მოწყვეტილ და აქ დასახლებულ ქართველებს 1840 წ. ენაც ქართული ჰქონიათ და კულტურაც, ასე რომ მაშინ პურის სახელიც არა სცოდნიათ რუსულად. იმათ ვენახებიც გაუშენებიათ მაშინ აქ. ეხლა-კი ამათი ქართული ენა თითქოს მთიულებისას წააგავსო, ქართული ერთობ ღარიბია ქართულის სიტყვებით. დაიწყებენ ქართულად ლაპარაკს, მაგრამ რომ ვერ მოახერხებენ აზრის გამოთქმას უნებურად რუსულ სიტყვებს ურევენ ლაპარაკში.

აქაური ქართველები ძალიან მოწადინებულნი არიან თავიანთ შვილებს ქართული წერა-კითხვა ასწავლონ, მაგრამ ხელმოკლეობის გამო სკოლას შეძლება არ აქვს, სახელმძღვანელო ნივთები შეიძინოს. ამიტომ ვთხოვ ქართულის წიგნების გამომცემელთ და „წერა-კითხვის გამ. საზოგადოებას", არ დაიშურონ დავიწყებულ მოძმეებისთვის თითო-ოროლა ცალი თავიანთ გამოცემისა. წიგნების გამოგზავნა შეიძლება ამ ადრესით: Ст. Шелкозаводскъ (Терской области)· Завѣдывающему Шелкозаводскимъ станичнымъ училищемъ М. Шатберову. შემომწირველთა ვინაობა თავის დროზედ „ივერია"-ში იქმნება გამოცხადებული.

შელკოზავოდსკის სკოლის მასწავლებელი
მ შატბეროვი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზ. „კავკას"-ში საყურადღებო წერილია დაბეჭდილი ქართულ პალეოგრაფიის შესახებ ბ ნ ა. ხახ—შვილისა:

„ქართული პალეოგრაფია, სწერს ბ-ნი ა. ხახ—შვილი, ჯერ ისევ უსუსურს მდგომარეობაშია. უმთავრესი საგანი, რომელიც პალეოგრაფიამ უნდა გამოარკვიოს,—რა კავშირი აქვს ურთერთ შორის ქართულ ორ ცნობილ ანბანს მხედრულსა და ხუცურს და როდის გაჩნდა ეს ანბანი,—დღემდის გამოურკვეველია და აზრთა სხვა-და-სხვაობას იწვევს. განსვენებულმა ისტორიკოსებმა დიმ. ბაქრაძემ და დიმ. ფურცელაძემ ის აზრი გამოსთქვეს, რომ „ხუცური" უფრო ადრე გამოგონილი, ვიდრე „მხედრული" და რომ საეკკლესიო ანბანის ასოები თანდათან მხედრულად გარდაიქცაო. ამ დასკვნას ეწინააღმდეგება კრებული საპალეოგრაფიო ნიმუშთა, ამოკრეფილი დიდის ხნის შრომის შემდეგ მ. გ. ჯანაშვილის მიერ სხვა-და-სხვა ძველ ხელნაწერებიდგან. ეს კრებული, გულდასმით და საქმის ცოდნით შედგენილი, ძვირფასს განძს წარმოადგენს საქართველოს წარსულის წერილობითის შესასწავლად. იგი შეიცავს ნიმუშებს იმისას, თუ ხელს როგორ აწერდნენ მეფენი, ეპისკოპოსნი და სხვანი წარჩინებულნი. კრებულში მოთავსებულია ნაწყვეტები ძველის მწერლობის ნაშთებისა, უძველესს დროიდგან დაწყებული მე-XVIII საუკუნემდე.

მაგალითად, გუჯრებისა და სიგელებიდგან ამოღებული აქვს ის, თუ როგორ აწერდნენ ხელს მეფენი ბაგრატ IV, გიორგი III, დედოფალი თამარი, ლაშა გიორგი, ალექსანდრე I, როსტომი, თეიმურაზ I და II, ვახტანგ VI, ირაკლი II და სხვანი. ხელ-ნაწერ თხზულებიდგან ამოუკრებია ჯანაშვილს ნიმუშები იმ ნაწერისა, რომელსაც მონასტრებთან არსებულ სკოლებში ჰხმარობდნენ ოპიზისა, გელათისა, შიო-მღვიმესა, ნიქოზისა, გრემსა, გარეჯასა და სხვაგან. მთელი კრებული შეიცავს 20[illegible] ნომერს და მოთავსებულია 12[illegible] ფურცელზედ.

ამ ნიმუშებით მდიდარ საპალეოგრაფიო კრებულის გამოცემა დიდად საჭირო და სასარგებლოა. სიტყვიერების მოყვარეთ ყურადღება უნდა მიაქციონ ამ უსასყიდლო შრომას და დიდის მეცადინეობით შედგენილ საპალეოგრაფიო კრებულს, რომლისთანაც ჯერ არავის შეუდგენია. გულწრფელად გისურვებთ, რომ იგი ახლო მომავალში გამოცემულ იქნას".

## რუსეთი

—

პეტერბურგის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა აუწყა სხვა-და-სხვა უმაღლეს სასწავლებლის უფროსებს, რომ სტუდენტებმა თავისის კერძო საქმეებისა გამო არასოდეს არ უნდა მიჰმართონ უმაღლეს მთავრობას—ოლქის მზრუნველს ან მინისტრსაო. თუ სტუდენტს რაიმე სათხოვარი აქვს ან რისამე შესახებ შუამდგომლობის აღძრა ჰსურს უმაღლეს მთავრობის წინაშე თხოვნა სასწავლებლის რექტორს, ინსპექტორს ან დეკანს უნდა გარდასცეს და ისინი განიხილავენ მას. იმ შემთხვევაში, თუ მთხოვნელი თანახმა არ იქმნება გარდაწყვეტილებისა ან თუ სასწავლებლის მთავრობას არ შეუძლიან გარდაწყვეტა, მაშინ მთავრობამ თხოვნა მზრუნველს ან მინისტრს უნდა გარდასცესო.

— საერო განათლების სამინისტრომ განმარტა, რომ თავისუფალ ყურის მგდებლებს უნივერსიტეტებში ნება არა აქვთ ეგზამენი დაიჭირონ სტუდენტებთან ერთად სხვა-და-სხვა საგნებში.

— რუსეთის საიმპერატორო საბაღოსნო საზოგადოებას აზრადა აქვს მომავალ წელს გაჰმართოს პეტერბურგში სრულიად რუსეთის გამოფენა ხე-ხილეულობისა და ბოსტნეულობისა.

— პეტერბურგში დააარსეს ახალი სკოლა, სადაც მოსწავლეებს ლუდის მომზადებას ასწავლიან. სკოლასთან ლაბორატორიაც არის გამართული.

— წელს სამთო ინსტიტუტში შესვლის სურვილი განაცხადა 1112 კაცმა, გამოცდის ნება მისცეს 783 კაცს, ხოლო მიიღეს 89 კაცი.

— „Сибир. Жизнь"-ი იუწყება, რომ აზრადა აქვთ გამოსცენ პეტერბურგში ციმბირისათვის ახალი გაზეთი. გაზეთი ყოველ დღე გამოვა და დიდის ფორმატისა იქმნება. საყურადღებო ის არის, რომ გაზეთს პეტერბურგში შეადგენენ და შემდეგ დეპეშით გარდასცემენ ციმბირის დიდს ქალაქებში: ომსკსა, ტომსკსა, კრასნოიასკსა და ირკუტსკში, სადაც მაშინვე ბეჭვდას შეუდგებიან და ამ რიგად ერთი გაზეთი ერთსა და იმავე დროს ხუთ ქალაქში გამოვა. გაზეთის თითო ნომერში ორთა შუა რიცხვით 20,000 სიტყვა იქმნება. რომ უფრო ადვილად გადასცენ ხოლმე გაზეთის შინაარსი, დამაარსებელთ აზრადა აქვთ პეტერბურგიდგან ირკუტსკამდე საკუთარი სატელეგრაფო მავთული გააბან. ამ აზრის სისრულეში მოყვანას, როგორც გამოანგარიშებულია, დასჭირდება $1^1/_2$ მილიონი მანეთი. გაზეთი ეღირება 12-20 მანეთი. გამომცემელთ იმედი აქვთ, რომ გაზეთს 40,000-ზედ ნაკლები ხელის-მომწერი არ ეყოლება.

— პეტერბურგში დაარსდა ქალთა ახალი საზოგადოება, რომელსაც სახელად ეწოდება „დედათა ჯან-მრთელობის დაცვა-შენახვის საზოგადოება". ჯერ-ჯერობით ამ საზოგადოებას ასი წევრი ჰყავს. აზრადა აქვთ სხვა-და-სხვა ქალაქებში საზოგადოების განყოფილებანი დააარსონ. საზოგადოებას აზრად ექნება თავისის წევრების ფიზიკურად განვითარება,

გავრცელება მათ შორის ნამდვილის შეხედულებისა სილამაზის შესახებ და სხვა. ამის მისაღწევად გაჰმართავენ სხვა და სხვა თამაშობას, გიმნასტიკას, წაიკითხავენ ლექციებს ჰიგიენის შესახებ და სხვა.

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** როგორც წინად გვქონდა მოხსენებული, საფრანგეთის სამინისტრომ დრეიფუსის საქმე საკასაციო სასამართლოს გარდასცა განსახილველად, რომელმაც უნდა გამოარკვიოს,—ამ საქმის ხელ მეორედ გადასინჯვა საჭირო არის, თუ არა. სასამართლოს მოვალეობაა ან ის აზრი გამოსთქვას, რომ საქმე ხელ-ახლად გადასინჯოსო, ან ისა, რომ არ არის საჭირო გადასინჯვაო, და ანუ კიდევ ისა, რომ დამატებითი გამოძიება უნდა მოხდეს ამ საქმის შესახებო.

თავისს დასკვნას სასამართლო უფროსს ბრალმდებელს წარუდგენს, რომელსაც შეუძლიან ან დაეთანხმოს სასამართლოს, ან არა.

როგორც გაზეთებმა ამბავი მოიტანეს, ეს საქმე უკვე გარდაეცა საკასაციო სასამართლოს უფროსს ბრალმდებელს ბ-ნ მანოსათვის 15 სექტემბერს, საღამოს 7 საათზედ. ეს ის მანოა, რომელმაც ზოლას საქმის გარჩევის დროს დიდის პატივით მოიხსენია ეს უკანასკნელი და ამით თავის წინააღმდეგ აამხედრა დრეიფუსის მოწინააღმდეგენი.

გაზეთების სიტყვით, საქმის გაცნობას მანო ოთხი დღე მოუნდებოდა და შემდეგ იმას სასამართლოს თავმჯდომარეს გარდასცემდა. ამ უკანასკნელმა სასამართლოს წევრთაგან ერთი ვინმე საქმის მომხსენებლად უნდა დანიშნოს. ჰფიქრობენ, რომ შამბრო ანუ ბარდი იქმნება მომხსენებლად დანიშნული. ესენი ორივენი გადასინჯვის მომხრენი არიან. მომხსენებელმა საქმის შესასწავლად დამატებითი ცნობები უნდა შეჰკრიბოს, რასაც რამდენსამე კვირას და შეიძლება თვესაც მოუნდეს.

არავინ იცის, დრეიფუსს როდის აცნობებენ საქმის გადასინჯვის შესახებ. ჯერ იმისთვის არ გაუმხელიათ, რომ შენი საქმე შეიძლება ხელ ახლად იქმნას გადასინჯული.

—

**სერბია.** სერბიიდგან ატყობინებენ გაზეთებს, რომ სერბიაში მთელი ერი წინააღმდეგია მილანისო. ამას ისაც უნდა დავუმატოთ, რომ რუსეთის ელჩი ჟადოვსკი, რომელსაც მოუთმენლად მოელოდნენ სერბიაში, სცდილობს, არავითარი დამოკიდებულება არ იქონიოს მილანთანაო. იმ დღეს, როცა ჟადოვსკი სერბიის მეფის წინაშე წარსდგა, ერთის სიტყვითაც არ მოუხსენებია იგი, ისე გამოვიდა გარეთ. მილანს-კი დაკიდებული ჰქონდა რუსეთის ყველა ორდენი და მეორე ოთახში ელოდა ჟადოვსკის, რაც მან კარგად იცოდაო.

—

**ოსმალეთი.** ერთის გაზეთის სიტყვით, ოსმალეთის ხონთქარს აზრად ჰქონია კონსტანტინეპოლში მუსულმანთა საერთო კრება მოახდინოს, სადაც მუსულმანთა ყველა ქვეყნის მეფეები და მთავრები არიან მიწვეულნი. კრებამ უნდა განიხილოს, რა ღონის ძიებანი იქმნას მიღებული ისლამის დასაცველად. სპარსეთის შაჰს უკვე განუცხადებია თანხმობა სტამბოლში მისვლისა. ჰფიქრობენ, რომ საფრანგეთი და ინგლისი კონსტანტინეპოლში წასვლის ნებას არ მისცემენ მაროკოს ხონთქარს, ეგვიპტეს ხედივს, ავღანის ემირს და ინდოეთის მაჰმადიანთა მთავრებსაო.

# სასამართლოს მატიანე

21 სექტემბერს ქუთაისის ოლქის სასამართლოს მიერ საქმის გარჩევის დროს ბრალდებულის სკამზე იჯდა ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიის მცხოვრები, მდიდარ დედმამის შვილი, ნიკოლოოზის სამხედრო სასწავლებელში სწავლა დამთავრებული, სამსახურიდგან გადამდგარი შტაბს-კაპიტანი ივანე ალექსანდრეს ძე სოლოვცოვი, 30 წლისა. სოლოვცოვს ბრალსა სდებდნენ, რომ დილით 13 აპრილს 1897 წელს, აღდგომის პირველ დღეს, განიზრახა მოკვლა მიხეილის ციხის ჯარის უფროსის პოლკოვნიკის თავ. აბრამ გეორგის ძის ვაჩნაძისა, რომელიც სოლოვცევმა ორჯერ გამოიწვია დუელში ოჯახის შეურაცხყოფისათვის და რომელმაც ორჯერვე უარი სთქვა დუელზე. სოლოვცოვი თან შეჰყვა თავ. ვაჩნაძეს ბათუმის მკურნალის შიშკოვის სახლის დერეფანში, რომელთანაც ვაჩნაძე მისულიყო მისალოცად და კიბეზე გააჩერა შემდეგის სიტყვებით: „თავადო, ორი სიტყვა უნდა მოგახსენოთო“ და იმ წამსვე შვინდის მძიმე ჯოხი სამჯერ დაჰკრა თავში. თავ. ვაჩნაძეს წასქდა სისხლი და იქვე კიბეზე დაეცა. ეს მკურნალის მსახურმა დაინახა, მოჰკიდა ხელი სოლოვცევს, კარებთან მიიყვანა და უთხრა; „აქ ჩხუბი არ შეიძლებაო“. მაშინ სოლოვცოვმა ჯოხი გადააგდო, ამოიღო ჯიბიდგან რევოლვერი, რომელიც ოთხის ტყვიით იყო გატენილი და წავიდა ქუჩისაკენ. იმავე დროს ფეხზე წამოდგა თავ. ვაჩნაძე, ამოიღო ჯიბიდგან თავისი რევოლვერი, ჩავიდა კიბეზე, გავიდა ქუჩაში და ესროლა რევოლვერი სოლოვცოვს, რომელიც ამ დროს ასე თხუთმეტ ნაბიჯზე იქმნებოდა დაშორებული. ტყვია სახლის კედელს მოხვდა. სოლოვცოვმაც ოთხჯერ ესროლა რევოლვერი თავ. ვაჩნაძეს, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ მოარტყა. ერთი ტყვია შიშკოვის სახლის კარებს მოხვდა. ამას შემდეგ თავ. ვაჩნაძემ კარები დაჰკეტა და მკურნალთან შევიდა. სოლოვცოვი კი სადღაც წავიდა.

სასამართლოში თავმჯდომარეობდა ქუთაისის ოლქის თავმჯდომარე ს. ა. ბოგოროდსკი, ბრალდებულს ბრალსა სდებდა მბრალმდებელის თანაშემწე ს. ი. ვოიდატ პაცევიჩი, იცავდა ნაფიცი ვექილი პ. ა. ოპოჩინინი.

ბრალდებულმა თვისი თავი დამნაშავედ არ აღიარა და სასამართლოს მოახსენა შემდეგი: 1895 წელს შემოდგომაზე ჩემს ცოლს გააცნეს თ. ვაჩნაძე. ამ ნაცნობობამ მალე ჩემთვის უსიამოვნო ხასიათი მიიღო, ის ხასიათი, რომელსაც „არშიყობას“ ეძახიან. ორჯერ განუცხადე ჩემი უსიამოვნება ჩემს ცოლს და ვსთხოვე თავ. ვაჩნაძისაგან შორს დაეჭირა თავი, მაგრამ თავ. ვაჩნაძის ცდნიერებამ იქამდე მიაღწია, რომ როდესაც მე, ობერ ოფიცერმა, თავ. ვაჩნაძეს, შტაბს-ოფიცერს ვიზიტი არ გადვუხადე, ის მაინც მოვიდა ჩემს სახლში. მე ხშირად მითქვამს ჩემის ცოლისათვის, რომ თუმცა დარწმუნებული ვარ იმის ერთგულებაში, მაგრამ იძულებული ვიქმნები მოველაპარაკო თავ. ვაჩნაძეს, რადგანაც ქალაქში ჩემთვის უსიამოვნო ხმა ვრცელდება და ეს მოლაპარაკებაც ჩემთვის სასარგებლო არ იქმნება, თუ მივიღებთ მხედველობაში სამხედრო წესდებას, რომლის ძალითაც უმცროსი ვალდებულია უფროსს პატივისცეს. ამის შემდეგ თავ. ვაჩნაძე ჩემთან მაინც მორიდებით ეპყრობოდა ჩემს ცოლსა. შემდეგ-კი გავიგე, რომ, იმ დროს, როცა მე სამსახურის გამო შინ არ ვიყავი ხოლმე, ჩემი ცოლი და თავ. ვაჩნაძე ერთმანეთსა ჰხვდებოდნენ და ისე ხშირად, რომ ქალაქში ჩემისა და ჩემის ცოლისათვის არასასიამოვნო ხმები გავრცელდა.

(შემდეგი იქნება)

# დამაკვირდი

მწუხარებავ, შლი გონებასა, მდაბალსა სულისა ძალთა შესჭამ და სხეულთაცა ძვალთა მღილი ხარ, არღვევ შეზავებათა, შემუსრავ ძალსა, დაამდაბლებ ცნობასა ან სოფლის ზრუნვათა შეჰმსჭვალავ საკვირველად.

ნიკოლოზ ტფილელი

* * *

საზატიოა და ტკბილ-სასიამოვნო სამშობლოსათვის სიკვდილი.

ჰორაციო

* * *

ერთხელ ჭეშმარიტის სიყვარულით გამთბარ გულს უსიყვარულოდ ცხოვრება აღარ ძალ-უძს.

ბ. დ—შვილი

# ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

კორიენტესის მუზეის დირექტორს კალამბრინის პარანას მახლობლად უპოვნია რაღაც ცხოველის თავის ქალა. პროფესორებმა გასინჯეს და აღმოჩნდა, რომ ეს ქალა არც ერთის ცხოველის თავის ქალას არ წარმოადგენს. ერთსა და იმავე დროს მაიმუნის თავის ქალასაც წააგავს და დიდ-ხვლიკისასაც... საოცარი ის არის, რომ უცნაურს თავის ქალას ეტყობა, რომ ცვოველს ცხვირი არა ჰქონია.

* * *

ბისმარკის შესახებ კიდევ ბევრს სწერენ ჟურნალებში. ყველანი ამტკიცებენ, რომ ბისმარკი კარგის მადის პატრონი იყოვო. ერთი ჟურნალი საჭმელების სიასაც-კი ჰბეჭდავს, რომელიც ბისმარკს უჭამია 1868 წელს, 8 თებერვალს სადილად. ამ სიაში ჩამოთვლილია თვრამეტი სხვა-და-სხვა საჭმელი. სასმელებიც ძლიერა ჰყვარებია ბისმარკს. ასე ამბობდა ხოლმე: „თუ ჩემს სხეულში ერთი ბოთლი ღვინო არ არის, ვერაფერს გავაკეთებო“. ხშირად უთქვამს აგრეთვე: „ბავშვებისათვის წითელი ღვინოა საჭირო, მოზრდილთათვის შამპანიური და გენერლებისათვის არაყი“ და რადგანაც თავისი თავი გენერლად მიაჩნდა, უფრო არაყს ეტანებოდა.

სიყრმიდგანვე მეტად ჯან-საღი იყო და სიცოცხლეში მარტო სიამოვნებას ეძებდა. ლიტერატურასა და ხელოვნებას არავითარს ყურადღებას არ აქცევდა. მხატვრობის გამოფენაზე არც ერთხელ არა ყოფილა. მთელ თავის სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ იყო მუზეიში და ისიც შემდეგის შემთხვევის წყალობით. ერთი ახალგაზდა ქალი რამდენსამე დღით მოვიდა ბერლინში, სადაც იმის ბიძაშვილი იყო სტუდენტად, რომელიც ჯერ არ ენახა. სტუდენტმა მისწერა, რკინის გზის სადგურზედ დაგიხვდებიო. მართლაც, ქალი რომ სადგურზე მოვიდა, მაღალ-მაღალი ახალგაზდა კაცი დაუხვდა. ჭაბუკი არ მოეწონა ქალს, მაგრამ მაინც მთელ სამ დღეს თან დაჰყვებოდა ყველგან. მხოლოდ გამოსალმების დროს ბისმარკმა (ის იყო) უთხრა ქალს, რომ შენი ბიძაშვილი არ გახლავარ, ის ეხლა ეგზამენებისათვის ემზადება, დრო არა ჰქონდა და მე მთხოვა, იმის მაგიერობა გამეწია. 1880 წელს ეს ქალი მეორედ მოვიდა ბერლინში და სადარბაზო ბარათი გაუგზავნა სასახლეში ბისმარკს, რომელიც ამ დროს უკვე კანცლერად იყო. ბისმარკმა მიიწვია სასახლეში და დიდხანს ესაუბრა. სხვათა შორის უთხრა:—თქვენი მადლობელი უნდა ვიყო, რომ მაშინ ბერლინის მუზეი ვნახე. მას შემდეგ აღარ მომიხდა ამ მუზეიში შესვლა.

არც მუსიკა უყვარდა ბისმარკს. ერთხელ რიჩმონდს უთხრა, მუსიკისათვის არა მცალიან და გარდა ამისა მუსიკა დამღლის ხოლმე და ამიტომ არ მიყვარს. არც თეატრში დადიოდა. მთელ თავის სიცოცხლეში სულ ორჯერ-სამჯერ ყოფილა თეატრში, ისიც შემთხვევით. ერთხელ თეატრში შემდეგი ამბავი მოხდა.

საქსონიის მინისტრი ბეისი ბერლინში მოვიდა ბისმარკთან სადამოენო საქმეზე მოსალაპარაკებლად. ბისმარკმა იცოდა, რომ ბეისს თეატრი უყვარს და ამიტომ წაიყვანა „Wollner Teater“-ში. იმ საღამოს თამაშობდა სახელოვანი არტისტი გელმერდინგი და ზოგიერთ მინისტრების შესახებ იოხუნჯა. ყველანი იცინოდნენ, იცინოდა ბისმარკიც. მაგრამ ყველაზედ სასაცილო სიტყვები არტისტის გელმერდინგისა შემდეგი იყო. საქმე ის გახლავთ, რომ რამდენსამე დღის წინად პრუსიის დეპუტატთა პალატაში ოპოზიციის მოთავე ძლიერა ჰკიცხავდა ბისმარკს, კამათობის დროს კრების დარბაზიდგან მინისტრთა ოთახში რად გავიდაო. უეცრად გაიღო კარი, ბისმარკმა თავი გამოჰყო და სთქვა:

— რა საჭიროა ეგ აურ-ზაური, მე კარს უკანაც კარგად მესმის, რაც ეხლა დარბაზში ჰხდება.

ერთის კუპლეტის შემდეგ, რომელიც თეატრში მყოფთ ძლიერ მოეწონათ, არტისტს ტაშს უკრავდნენ და სცენაზე იწვევდნენ. გელმენდირგი კარგა ხანს არ გამოდიოდა, მერე კულისებიდგან თავი გამოყო და სთქვა:

— რა საჭიროა ეგ აურ-ზაური, მე კარს უკანაც კარგად მესმის, რაც ეხლა დარბაზში ჰხდება.

არტისტის ოხუნჯობა ძლიერ მოეწონა ყველას, მაგრამ უფრო ბევრი ბისმარკმა იცინა და მას შემდეგ ხშირად მიუწვევია თავისს სასახლეში არტისტი გელმერდინგი

არც ლიტერატურასა სწყალობდა ბისმარკი და მარტო მხიარულ ფრანგულ რომანს თუ წაიკითხავდა გასართობად. ამბობენ, ზოლასი და განკურის რომანები იმიტომ უყვარდა, რომ ამ რომანებში ფრანგების ზნე-გაფუჭებულ ხალხის ცხოვრება არის აწერილიო.

ბისმარკს ხშირად დასცინოდნენ ხოლმე ჟურნალ-გაზეთებში, როგორც სულთანს აბდულ-გამიდსა და ნაპოლეონ მესამეს. ნაპოლეონი რომ გარდაიცვალა, სულთანმა ევროპის სახელმწიფოებს მიჰმართა და სთხოვა, თუ შეიძლება ალაგმეთ ჟურნალისტები, რომლებიც ძლიერ ხშირად მაქცევენ ხოლმე ყურადღებასაო. ეს რომ ბისმარკმა გაიგო, ვითომდა წყენითა სთქვა:

— ნაპოლეონი გარდაიცვალა, სულთანი ჟურნალისტებს იგერიებს და მარტო მეღა ვიქნები ამიერიდგან ამ ვაჟბატონების მსხვერპლი.

და შემდეგ დაუმატა.

— ამას იმიტომ-კი არ ვამბობ, რომ ეს მაწუხებდეს, პირ-იქით იმასა ვშიშობ, მარტო მე ვეყოფი თუ არა ჟურნალისტებს.

ერთხელ იმპერატორმა ვილჰელმმა პირველმა უთხრა მოხუცებულს კანცლერს:

— თქვენა სჩივით, დავბერდი, დავუძლურდიო. . აბა მიყურეთ, მე თქვენზე ხნიერი ვარ და ჯერ კიდევ ცხენზედ ვჯდები.

— რა თქმა უნდა, თქვენო უდიდებულესობავ, უპასუხა ბისმარკმა—ეგ ყოველთვის ეგრე არის ხოლმე. მხედარი ცხენზედ აღრე როდი დაიღლება.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

24 სექტემბერი.

**პეკინი.** ქალაქში მშვიდობიანობაა. ცუნგ-ლი-იამენმა ბოდიში მოიხადა ამას წინად მომხდარ არეულობის გამო. წეს-რიგის დასაცველად პეკინში რამდენიმე რაზმი მოვიდა. ახალი არეულობა არ მომხდარა, იმ ადგილას, სადაც ევროპიელები შეურაცხჰყვეს, რვა დამნაშავეთაგანი დააყენეს, რომ ყველამ დაინახოს.

**პარიჟი.** გაზეთი „Matin“-ი სწერს, რომ თუ ინგლისმა ფაშოდას შესახებ მოლაპარაკებამდი მოითხოვა მარშანი გაიწვიეთო, საფრანგეთის მთავრობა უარს შეუთვლისო.

**პარიჟი.** ნავთ სადგურებში მოსამსახურეთა უმეტესმა ნაწილმა მუშაობა აღკვეთა, ასევე მოიქცნენ ქვისმთლელნი როდესაც შეთქმულთ გრენელლისა და პასსის უბნებში რამდენიმე სახლი გაძარცვეს, დაპარებულ იქმნენ დრაგუნები და კირასირები სარესპუბლიკო დარაჯის მისაშველებლად.

**ბერლინი.** სამხედრო გემი „Kaiserin Augusta“ კაო-ჩაუდგან ტაკუში წავიდა გერმანიის ინტერესების დასაცველად. წავიდა ერთი აფიცერი და 30 ზღვაოსანი, ტაკუში გადასასვლელად. ეს რაზმი პეკინში წავა ამას პეკინში მყოფი გერმანიის მისსია მოითხოვს.


# განცხადებანი

ცნობილ ფაბრიკების



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა ბ. მ. მირიმანიანისა

музыкальное депо Б. М. МИРИМАНЯНА.

Тифлисъ. Дворцовая ул.

(42—5.—16)